6177/3-125/21 2 17062021

6177/3-125/21
17-06-2021

საქართველოს პროკურატურას

მოგესალმებით,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი ნაწილისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, გთხოვთ მომაწოდოთ ინფორმაცია:

1. დღეის მდგომარეობით რამდენი ადამიანია ბრალდებული შემდეგ ნივთიერებებთან დაკავშირებულ დანაშაულებზე:

ა) კანაფი - მცენარე კანაფის წვეროები ყვავილებით და ნაყოფით (ფოთლებისა და თესლების გარდა, რომელთაც თან არ ახლავთ მცენარის წვეროები);

ბ) კანაფის ექსტრაქტი და ნაყენი;

გ) კანაფის ზეთი - მცენარე კანაფისგან ნებისმიერი გზით მიღებული ზეთი;

დ) კანაფის ფისი - მცენარე კანაფისგან გამოყოფილი, გასუფთავებული ან/და გაუსუფთავებელი ფისი.
- დაკავშირებულ დანაშაულებზე.

2. დღეის მდგომარეობით რამდენი ადამიანია ბრალდებული ზემოაღნიშნულ

ნივთიერებათა მცირე და დიდი ოდენობით (ცალცალკე):

ა) შეძენაზე;
ბ) შენახვაზე;
გ) გადაზიდვაზე;
დ) გადაგზავნაზე;
ე) გასაღებაზე;

აგრეთვე, კანაფის:

ვ) დათესვაზე;
ზ) მოყვანაზე;
თ) კულტივირებაზე;

გთხოვთ, მიუთითოთ თითოეული პუნქტის შემთხვევაში მსჯავრდებულთა რაოდენობა ცალცალკე.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
იაგო ხვიჩია

საქართველოს პროკურატურა
საქართველოს გენერალური პროკურატურა
The Prosecutor's Office of Georgia
The Office of the Prosecutor General of Georgia

KARR1312406206421

გორგასლის ქუჩა №24, 0114, თბილისი / 24, Gorgasali street, 0114, Tbilisi, Georgia
ტელ./Telephone: +995 (0) 32 2 405 377 E-mail:international@pog.gov.ge
Web: www.pog.gov.ge;

№13/39448 **01 / ივლისი / 2021 წ.**

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ იაგო ხვიჩიას

ბატონო იაგო,

თქვენი 2021 წლის 17 ივნისის N6177/3-125/21 წერილის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

საქართველოს პროკურატურაში სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება ხორციელდება სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის მეშვეობით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლის, ნაწილის და ქვეპუნქტის მიხედვით და იმ შემთხვევაში თუ, უშუალოდ მუხლის შემადგენლობა არ ითვალისწინებს წერილში აღნიშნულ ქვეპუნქტებს ცალ-ცალკე, მაშინ შეუძლებელია მათი სტატისტიკურად აღრიცხვა. ამასთან, სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ ინფორმაცია მუშავდება კონკრეტული პერიოდის მითითებით.

ასევე, გაცნობებთ, რომ საქართველოს პროკურატურა არ ამუშავებს ინფორმაციას მსჯავრდებულების შესახებ.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

საერთაშორისო ურთიერთობებისა და
სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი

ირაკლი ჩილინგარაშვილი